



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA



MES 3 18 00932740

23/07/2018

ა(ა)იპ საქართველოს რეფორმების ასოციაცია
ფაქტ-მეტრის რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენი 2018 წლის 11 ივლისის განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N898464; 12.07.2018) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, გაცნობებთ, რომ 2018 წლის მაისის თვეში საჯარო სკოლებში ასწავლიდა 57944 პედაგოგი. მათი განაწილება პედაგოგის სტატუსის მიხედვით შემდეგია:

პედაგოგი სსტატუსი	რაოდენობა
პრაქტიკოსი	40924
უფროსი	16811
წამყვანი	202
მენტორი	7

საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და პირობები რეგულირდება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებით, რომლის თანახმად, მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მოიცავს:

- თანამდებობრივ სარგოს;
- თანამდებობრივ სარგოზე დანამატებს;
- კლასკომპლექტით სწავლების დანამატი;

- დანამატი არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ერთ-ერთი შემდეგი საგნის სწავლებისათვის: ქართული, როგორც მეორე ენა; საქართველოს ისტორია; საქართველოს გეოგრაფია.
- კლასის დამრიგებლობის დანამატი;
- მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის დანამატი, რომელიც მოიცავს მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელების საბაზო დანამატს და საგაკვეთილო დანამატს ყოველ საგაკვეთილო საათზე;
- სრულ განაკვეთზე მეტი დატვირთვის დანამატი;
- სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი;
- მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის დანამატი.

ამასთან, მასწავლებლის სქემით განსაზღვრული სტატუსის შესაბამისი დანამატის ოდენობა დამოკიდებულია პედაგოგის სქემით განსაზღვრულ სტატუსზე (უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებელი).

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 18 დეკემბრის N163/ნ ბრძანება განსაზღვრავს, რა შემთხვევაში და რა ოდენობით ეძლევა პედაგოგს სერტიფიცირებული მასწავლებლის დანამატი. „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანების მიხედვით, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის სრული ოდენობა :

- უფროსი მასწავლებლისათვის განისაზღვრება 320 ლარით ;
- წამყვანი მასწავლებლისათვის განისაზღვრება 700 ლარით;
- მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლისათვის განისაზღვრება 1000 ლარით.

საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების საბაზო თანამდებობრივი სარგო 2015-2018 წლებში შეადგენს:

ლარებში

2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
355	405	405	405

ამასთან წარმოგიდგენთ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსის შესაბამისი დანამატის ცვლილებების დინამიკას:

ლარებში

დასახელება	2015 წლის სექტემბერი	2016 წლის სექტემბერი	2017 წლის იანვარი	2018 წლის თებერვალი
მენტორი	300.00	400.00	700.00	1000.00
წამყვანი მასწავლებელი	250.00	270.00	500.00	700.00
	160.00	180.00		320.00

უფროსი მასწავლებელი		320.00	
---------------------	--	--------	--

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების მიხედვით, სერტიფიცირებული მასწავლებელი განისაზღვრება, როგორც მოქმედი მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ბოლომდე მოპოვებული აქვს მასწავლებლის სერტიფიკატი. 2015 წლამდე სერტიფიცირებული პედაგოგის სტატუსი მოპოვებული აქვს 17364 პირს. 2018 წლის მაისში სკოლებში მუშაობდა ამ სტატუსის მქონე 15399 პედაგოგი, 2016-17 სასწავლო წელს – 15114, ხოლო 2015-16 - 15205.

ასევე, გაცნობებთ, რომ მასწავლებელთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი რეგულირდება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით.

აგრეთვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზემოაღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე**

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
უფროსი
მარიამი ძიძიგური

მ. ძიძიგური